ინკლუზიური განათლების მარეგულირებელი ნორმატიული აქტების საკითხისათვის

გვანცა ჭანტურია, ხატია ხატიაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
gvanca.chanturia@tsu.ge; khatia.khatiashvili@tsu.ge

https://doi.org/10.52340/lac.2022.830

აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანია ხარისხიანი განათლების მიწოდება; ყველამ თანაბრად უნდა მიიღოს ხარისხიანი განათლება, აღმოფხვრას უთანასწორობა საგანმანათლებლო სისტემაში, გაიზარდოს კვალიფიციური მასწავლებლების რაოდენობა - ვკითხულობთ unicef.org.ge-ს საიტზე. ეს გულისხმობს იმას, რომ განათლება უნდა მიიღოს ყველა ადამიანმა, მიუხედავად მათი თავისებურებებისა, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევისა, როდესაც საქმე გვავქვს გონებრივ ჩამორჩენილობასთან. შესაბამისად, უნივერსიტეტს გარდა ორი ძირითადი მისიისა - განათლება და მეცნიერება -, გააჩნია კიდევ მესამე მისია. ეს არის საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა სხვადასხვა პროექტების სახით, რაც თავისთავად ცხადია, უწყვეტი განათლების უზრუნველყოფასაც მოიცავს. აქედან გამომდინარე, ინკლუზიური განათლების დანერგვა უმაღლეს საფეხურზე პირდაპირი მოთხოვნა და საჭიროებაა.

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, რომ შშმ სტუდენტებთან საჭიროა ინდივიდუალური მუშაობა. ეს სულაც არ გულისხმობს იმას, რომ ისინი გარიყულები იქნებიან დანარჩენი სტუდენტებისაგან და სასწავლო პროცესისაგან. პირიქით, ეს უფრო მეტად შეუწყობს მათ ხელს, ინტეგრირდნენ საზოგადოებაში, იყვნენ უფრო მოტივირებულები და გააზრებულად და სწორად დაგეგმონ თავიანთი სასწავლო პროცესი.

პედაგოგები ვალდებული არიან, დაეხმარონ მათ სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. მათ ასევე მხარდაჭერა უნდა გაუწიონ შესაბამისი სფეროს კოორდინატორებმა. ზოგადად ახალი ინფორმაციის მიღება, ათვისება და პრაქტიკაში გამოყენება საკმაოდ რთული პროცესია ნორმალური განვითარების მქონე ადამიანისათვისაც კი. მიღებული ცოდნის განზოგადებისას შემსწავლელმა უნდა შეძლოს ათვისებული უნარის სხვადასხვა სიატუაციებში, გარემოსა და დროში გამოყენება. ხოლო შშმ პირებთან ეს პროცესი კიდევ უფრო გართულებულია, რადგან მათთან მიღებული ცოდნის მექანიკური გადატანა ვერ

ხდება, თუ მანამდე ის არ გაივლის ადაპტაციას. აქედან გამომდინარე სასწავლო პროცესის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემსწავლელის ფსიქიკურ-ემოციური და ფიზიკური მახასიათებლები. შშმ პირებს ხშირად უჭირთ ურთიერთობა და ამიტომ სწავლებას აუცილებლად უნდა მიეცეს კომუნიკაციური ხასიათი. ეს უფრო მეტად ეხმარება შშმ პირს სასწავლო პროცესში ჩართვაში, თანატოლებთან ურთიერთობაში, ასევე საკუთარი აზრების უკეთ გამოხატვაში მშობლიურ თუ უცხოურ ენაზე.

დარღვევების მქონე პირების სწავლება სათავეს იღებს ჯერ კიდევ ძველი დროიდან. ამ გამოცდილების გაზიარებით, ჩანს, რომ მნიშვნელოვანი და აუცილებელია ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, რომელშიც მთელი სწავლების პროცესი უზრუნველყოფს წარმატების მიღწევას, რაც თავის მხრივ გულისხმობს ეფექტური სასწავლო სტრატეგიების გამოყენებას.

აღსანიშნავია, რომ საკანონმდებლო სფერო ყველა ქვეყანაში განსხვავებულად არის მოწყობილი. ბევრ ქვეყანაში ის დახვეწის პროცესშია. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, აქ ბევრი რამ კეთდება ამ კუთხით და კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ჩვენ შევისწავლეთ სხვადასხვა ქვეყნების საკანონმდებლო ბაზები, რაც მნიშვნელოვანია ინკლუზიური განათლების უკეთ გაგებისა და შესწავლისათვის.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საკანონმდებლო ნორმების ფორმირება გლობალიზაციის პირობებში ვერ მოხდება იმ პრინციპებისა და ნორმების გაუთვალისწინებლად, რომლებსაც აყალიბებს საერთაშორისო თანამეგობრობა. უფლებების დაცვა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც ეს არაერთხელ აღვნიშნეთ, უნდა მოხდეს ასევე შშმ პირების თანასწორობისა და დისკრიმინაციის დამატებითი გარანტიების უზრუნველყოფა. ერთ-ერთი და მთავარი პუნქტი არის ის, რომ სახელმწიფოებმა ნებისმიერი ადამიანის გადაწყვეტილებას განათლების მიღების შესახებ უნდა სცენ პატივი. 1961 წლის ევროპის სოციალურმა ქარტიამ აღიარა შშმ პირების, ასევე ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევების მქონე ადამიანების პროფესიული მომზადების, რეაბილიტაციისა და სოციალური მოწყობის უფლება. ამ დოკუმენტის ტექსტი გადაიხედა და 1996 წელს სტრასბურგში მოეწერა ხელი დოკუმენტს, რომელშიც უფლებები უფრო ფართედ არის წარმოდგენილი. ქარტიის მე-9 მუხლში ნათქვამია, რომ მონაწილე სახელმწიფოები პასუხისმგებლობას იღებენ, შექმნან და ხელი შეუწყონ ისეთი სამსახურის ჩამოყალიბებას, რომელიც უფასო დახმარებას გაუწევს შშმ პირებს პროფესიონალურ და კარიერულ საკითხებში. ქარტიის მე-10 მუხლში კი ნათქვამია, რომ მხარეები უნდა უზრუნველყოფდნენ ყველა პირის ტექნიკურ და პროფესიულ მომზადებას, ასევე უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე.

1989 წლის გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენცია აღიარებს, რომ წევრ სახელმწიფოებში ფიზიკური და ფსიქიკური დარღვევების მქონე პირებს მიეცეთ სრულყოფილი და ღირსეული ცხოვრების უფლება, დახმარების მიღების შესაძლებლობა სხვადასხვა საკითხებში, მათ შორის განათლების სფეროში.

განათლების უფლება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სოციოკულტურული უფლებაა. ეს უფლება ხორციელდება ყველას თანასწორობის,

აღიარების და დაცვის პრინციპის საფუძველზე. ზოგადად იმ ქვეყნებში, სადაც დანერგილია ინკლუზიური განათლება, ცნობენ, რომ ნებისმიერი ბავშვი უნდა უზრუნველყონ განათლების მიღების შესაძლებლობით.

შშმ პირების უფლებები ერთ-ერთი სფეროა, რომელზეც დღეს ყურადღება ძირითადად გამახვილებულია თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში და მათი უფლებების დაცვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, პრიორიტეტული და ყურადსაღები საკითხია. ამ საკითხებს ზოგადად არეგულირებს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, გაეროს 2006 წლის კონვენცია. იგი ამ საკითხების მარეგულირებელი ფუნდამენტური ინსტრუმენტია, რადგან შშმ პირთა მიმართ არსებული მიდგომებისადმი პარადიგმის შეცვლას ხელს უწყობს. მის გარეშე შეუძლებელია მათი ეფექტური დაცვა. პარადიგმის ცვლა გულისხმობს სოციალურიდან სამედიცინო მოდელზე გადასვლას. ეს კი თავის მხრივ გულისხმობს შშმ პირებთან ისე მოპყრობას, როგორც საზოგადოების განუყოფელ და თანასწორ წევრებთან, რომლებსაც შეუძლიათ, მიიღონ დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები და საკუთარი წვლილი შეიტანონ საზოგადოების ცხოვრებაში.

კონვენციის თანახმად, მე 19 მუხლში მოცემულია შემდეგი დებულება: *ყველა შშმ პირს აქვს უფლება, იცხოვროს ჩვეულებრივ საცხოვრებელ ადგილებში და სხვა ადამიანებთან ერთად ჰქონდეთ თავისუფალი არჩევანის უფლება. ხოლო სახელმწიფოები ვალდებულები არიან, ხელი შეუწყონ ამ პროცესს.* სპეციალური დაწესებულებების არსებობა ითვლება შშმ პირების უფლებათა დარღვევად. ისინი ამით ხელს უწყობენ ძალადობისა და უგულვებელყოფის რისკის გაზრდას. ასეთ დაწესებულებებში ისინი სხვებისათვის უხილავები ხდებიან. თუმცა მიუხედავად ამისა, ევროპის ქვეყნებში მაინც არსებობს ასეთი დაწესებულებები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, როგორიცაა ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი.

2009 წლის 18 ივლისს საქართველოს წარმომადგენლობამ გაეროში ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას. 2012 წელს პრალამენტმა მისი რატიფიცირება მოახდინა და 2014 წელს ის შევიდა ძალაში. კონვენციის შესაბამისად საქართველო ვალდებულია, განახორციელოს მისი ყველა დებულება, მოამზადოს საჭირო კანონმდებლობა და შესაბამისი დოკუმენტები.

ზოგადად შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში უამრავი დოკუმენტია მიღებული, მათ შორისაა:

-გენერალური ასამბლეის მიერ 1971 წლის 20 დეკემბერს მიღებული დეკლარაცია გონებრივად ჩამორჩენილ პირთა უფლებების შესახებ;

- გენერალური ასამბლეის მიერ 1975 წლის 9 დეკეკმბერს მიღებული დეკლარაცია ინვალიდთა უფლებების შესახებ;

- გენერალური ასამბლეის მიერ 1982 წლის 3 დეკემბერს მიღებული ინვალიდთა მიმართ მსოფლიო სამოქმედო პროგრამა;

- გენერალური ასამბლეის მიერ 1990 წლის 15 მარტს მიღებული ტალინის სახელმძღანელო სამოქმედო პრინციპები ადამიანური რესურსების განვითარების შესახებ ინვალიდობის სფეროში;

- გენერალური ასამბლეის მიერ 1991 წლის 17 დეკემბერს მიღებული ფსიქიკური დაავადებების მქონე პირთა დაცვისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების პრინციპები;

- გენერალური ასამბლეეის მიერ 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესები;

- 2006 წელე მიღებული კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ;

- იუნესკოს მსოფლიო კონფერენციაზე 1981 წლის 2-7 ნოემბერს მიღებული სანდბერგის დეკლარაცია;

- იუნესკოს მიერ 1994 წლის 7-10 ივნისს მიღებული სალამანკას დეკლარაცია;

- შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1983 წლის 1 ივნისს მიღებული კონვენცია შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ;

- შრომის საერთაშორიოს ორგანიზაციის მიერ 1955 წლის 22 ივნისს მიღებული რეკომენდაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პროფესიული გადამზადების შესახებ;

-შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ 1988 წლის 21 ივნისს მიღებული რეკომენდაცია შშმ პირთა პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ;

ყველა ამ დოკუმენტში საუბარია შშმ პირთა თანაბარ უფლებებზე და მათ დაცვაზე. ყველა ეს დოკუმენტი ერთხმად აღიარებს და თანხმდება შშმ პირთა უფლებების დაცვასა და სახელმწიფოების მიერ ამ უფლებების დაცვის უზრუნველყოფაზე. აქ ლაპარაკია არა მხოლოდ მათ სკოლამდელ, სასკოლო და უმაღლეს განათლებაზე, არამედ უწყვეტ განათლებაზე და სამომავლოდ დასაქმებაზე.

1994 წლის სალამანკას დეკლარაცია არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც აყალიბებს შშმ პირების უფლებებს. სწორედ სალამანკას მსოფლიო კონფერენციაზე განისაზღვრა ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები. იგი წარმოადგენს დისკრიმინაციასთან ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას. *ბევრ ბავშვს აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები და შესაბამისად განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა იპოვონ გზები და კომპრომისები მათი საჭიროებების უზრუნველყოფისათვის...უნდა განვითარდეს ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკა.* ამ დეკლარაციაში დადგენილია ინკლუზიური სკოლის პრინციპი, რომლის თანახმადაც ყველა ბავშვი უნდა სწავლობდეს ერთად მიუხედავად განსხვავებულობისა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ეს შესაძლებელია. ინკლუზიური სკოლები უნდა აღიარებდნენ თავიანთი მოსწავლეების მოთხოვნებსა და საჭიროებებს და შესაბამისობაში უნდა მოიყვანონ მათი საჭიროებები. დეკლარაციაში ნათქვამია, რომ თითოეულ ბავშვს აქვს უნიკალური თავისებურებები, ინტერესები, უნარები და სასწავლო საჭიროებები. სასწავლო პროგრამები უნდა შემუშავდეს ისეთნაირად, რომ მხედველობაში უნდა მიიღონ ამ თავისებურებებისა და მოთხოვნილებების მრავალფეროვნება. დეკლარაციის თანახმად, ინკლუზიური განათლება დისკრიმინაციასთან ბრძოლის ყველაზე

უფრო ეფექტური საშუალებაა, ასევე იმისათვის, რომ შეიქმნას ინკლუზიური საზოგადოება და განათლება ყველასთვის იქნას უზრუნველყოფილი. ეს დოკუმენტი გამოირჩევა უკიდურესი და უაღრესი ჰუმანური ტენდენციებით. დეკლარაციასთან ერთად კონფერენციის წევრებმა მიიღეს პროგრამა *„შშმ პირების საგანმანათლებლო სამოქმედო ჩარჩო"*, რომელიც შეიცავს შშმ ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილებისათვის განათლების უზრუნველყოფის რეკომენდაციებს ჩვეულებრივი საგანამანთლებლო სისტემის ჩარჩოებში. მნიშვნელოვანია, რომ ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს სასკოლო განათლება, გამონაკლისები ცალკე უნდა იქნას განხილული. ასევე აღიარებული იქნა ისიც, რომ აუცილებელი იყო დამატებითი ზომების მიღება ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, პროფესიული მომზადებისა და დასაქმების საკითხებში.

შვედეთი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც 1842 წელს მიიღო კანონი დაწყებით განათლებასთან დაკავშირებით, სადაც მხედველობაში იღებდნენ ღარიბ ბავშვებს და ისეთ ბავშვებს, რომლებსაც არ გააჩნდათ იმის შესაძლებლობა, რომ მიეღოთ განათლება. მე-19 საუკუნის ბოლოს აქ მიიღეს სხვადასხვა ნორმატიული აქტები, რომელიც ითვალისწინებდა უსინათლოთა და მუნჯ ბავშვთა განათლებას. შვედეთის სპეციალური განათლების სისტემა იმეორებს ნორვეგიის განათლების მოდელს.

შვედეთში ხელმძღვანელობენ 1996 წლის განათლების კანონით და არ არსებობს ცალკე აქტი სპეციალური განათლების შესახებ. კანონის მიხედვით ყველა ბავშვს გააჩნია განათლების მიღების უფლება მიუხედავად სქესისა, საცხოვრებელი ადგილის, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებისა. იმ მოსწავლეებს, რომლებსაც სწავლის სირთულეები აქვთ, უნდა გაეწიოთ დამატებითი დახმარება. სმენადაქვეითებული და მცირედი სმენის მქონე ბავშვები, რომელთათვისაც უპირველესია ჟესტური ენა, მეტყველების პრობლემის და სხვა დეფექტების მქონე ბავშვები სწავლობენ სპეციალიზირებულ სკოლებში. მოსწავლეთა უმეტესობა, რომელთაც სჭირდებათ სპეცგანათლება, სწავლობენ ჩვეულებრივ კლასებში სწავლებასთან დაკავშირებული მქონე სირთულეების ბავშვებისათვის შემუშავებული სპეციალური პროგრამებით. სირთულეების მქონე ბავშვებს აქვთ 10 წლიანი სავალდებულო განათლების მიღების უფლება, სხვებისაგან განსხვავებით 1 წლით მეტს სწავლობენ. საშუალო სკოლის მასწავლებლები გადიან გადამზადებას, სპეციალური მასწავლებლები ეხმარებიან პედაგოგებს სწავლებისას. მეთოდური დახმარებისათვის შექმნილია ქვეყნის მასშტაბით 4 რესურს-ცენტრი.

შვედეთმა ხელი მოაწერა გაეროს კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ (1989), ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების და შესაძლებლობების გათანაბრების სტანდარტულ წესებს (1993), იუნესკოს სალამანკას დეკლარაციასა და სამოქმედო ჩარჩოს (იუნესკო, 1994). ყველა ეს დოკუმენტი თავითავად ძალიან მძლავრი იარაღია ამ სექტორში. ეს დოკუმენტები საფუძვლად დაედო მნიშვნელოვან სახელმწიფოებრივ დოკუმენტებსა და კანონებს, რათა ინკლუზიური განათლება მყარად დამდგარიყო დღის წესრიგში.

შვედეთის განათლების კანონი აცხადებს, რომ ყველა ბავშვს აქვს განათლების მიღების თანაბარი შანსი და ყველას აქვს ამ უფლების გამოყენების საშუალება მიუხედავად სქესისა, საცხოვრებელი ადგილისა, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებისა.

საქართველოში ინკლუზიური განათლების ცალკე კანონი არ არსებობს, ის შედის საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ. თუმცა არსებობს სხვადასხვა ნორმატიული დამატებითი აქტები, მათ შორისაა, 2020 წლის კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, 1995 წლის კანონი შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ, რომელშიც ნათქვამია *,,განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ვალდებულნი არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდა მათთვის ჯეროვანი სარეაბილიტაციო დახმარების გაწევის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საშუალო-სპეციალური და უმაღლესი განათლების მიღება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად".*

საქართველოს კანონის - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დაცვის შესახებ, რომელიც შემუშავდა 1995 წლის 14 ივნისს - საფუძველზე 2020 წლის 14 ივლისს მოქმედმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა გამოსცა ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს ყველა დაწესებულების ჩართულობას შშმ პირების ცხოვრებში, სადაც განათლების ნაწილში (მე-8 მუხლი) აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ,,ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა, ასევე შშმ პირის მიერ უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობა''. ხოლო 27-ე მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ვალდებულია, *,,უზრუნველყოს შშმ პირთათვის განათლების ყველა საფეხურზე განათლების განვითარების სამოქმედო გეგმის შემუშავება და დამტკიცება და მისი შესრულების ზედამხედველობა".* ასევე ის თავის თავზე იღებს ყველა საგანმანათლებლო დაწესებულებებში კადრების გადამზადების ვალდებულებას, საჭიროების შემთხვევაში, მათ უზრუნველყოფას ადაპტირებული პროგრამებითა და მასალით.

თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ამ კანონების აღსრულების მექანიზმი სათანადოდ არ არის გამართული. განათლების სისტემაში კი კანონის აღსრულება მნიშვნელოვანწილად უნდა მოწმდებოდეს. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული სისტემა ჩამოყალიბების პროცესშია და კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ კუთხით.

ლიტერატურა:

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005 წლის 8 აპრილი

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია

შვედეთის კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 1992 წლის 17 დეკემბერი

შვედეთის კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, 1993 წლის 4 თებერვალი

საფრანგეთის კანონი ინვალიდთა შესახებ, 1991 წლის 17 აპრილი

კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989 წლის 20 ნოემბერი
ევროპის სოციალური ქარტია, 1996 წელი
კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1960 წელი
შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, 2006 წელი
რეკომენდაციები განათლების შესახებ დისკრიმინაციის წინააღმდეგ, 1960 წელი
რეკომენდაციები მოზარდების განათლების განვითარებისათვის, 1974 წელი
რეკომენდაციები უმაღლესი განათლების კვალიფიკაციისა და კვლევის აღიარებისათვის, 1993 წელი
რეკომენდაციები უმაღლესი განათლების მასწავლებელთა სტატუსთან დაკავშირებით, 1997 წელი
ადამიანის უფლებების უნივერსალური დეკლარაცია, 1948 წელი
მსოფლიო დეკლარაცია ,,განათლება ყველასათვის'', 1980 წელი
ზრდასრულთა სწავლების ჰამბურგის დეკლარაცია, 1997 წელი
სალამანკას დეკლარაცია და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების სამოქმედო გეგმა, 1994 წელი
საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, 1995 წელი
გაეროს კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2017 წლის 27 დეკემბერი
Ulrika Järkestig Berggren, Diana Rowan, Ewa Bergbäck & Barbro Blomberg, Disabled students' experiences of higher education in Sweden, the Czech Republic, and the United States – a comparative institutional analysis, 2016
Girma Berhanu SPECIAL EDUCATION TODAY IN SWEDEN, 2014
Special Education across Europe in 2003, European Agency for Development in Special Needs Education, 2003

Gvantsa Chanturia, Khatia Khatiashvili
I.Javakhishvili Tbilisi state University

For the Issue of Normative Acts Regulating Inclusive education

Abstract

The article discusses the legal frameworks of different countries, which is important for a better understanding of inclusive education.

It should be noted that the fourth goal of sustainable development is to provide the quality education. *Everyone should receive equal education, eliminate inequality in the educational system, increase the number of qualified teachers* - unicef.org.ge. This implies that all people should be educated regardless of their peculiarities, except in the case of

mental retardation. Consequently, in addition to the two main missions - Education and Science- the university has a third mission. It is a quality life-long education and community development through a variety of projects. Therefore, the introduction of inclusive education at the highest level is a direct demand and need. This is regulated by the existing legislative and normative acts in this field.

It is noteworthy that in the context of globalization, legislative norms are formed taking into account all the principles and norms offered by the international community. Protecting the rights of people with disabilities is an important issue, but it must also be done by providing additional guarantees of their equality and discrimination. One of the main point is that no person shall be denied a right to an education.

The article discusses mainly the cases of Sweden and Georgia. We studied laws and regulations in these countries. All these documents highlight that all people have the right to education and every state must respect this right. The legislation is arranged differently in every country and in many countries it is in the process of refinement. However, it should be noted that a lot is being done in Georgia, but there is still a lot to be done.